



გამორჩეული ამბები-გოგონათა დღე

11 ოქტომბერი გოგონათა საერთაშორისო დღე იყო. ინიციატივა „ქალები ჯანსაღი მომავლისთვის“, რომელიც საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციას ეკუთვნის, ქვამ შეარჩია გამარჯვებულ პროექტებს შორის საგრანტო სქემაში, პროექტისთვის „სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება“ ლაგოდებში. ინიციატივა მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ადრეული ქორწინებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, მის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ეფექტებზე, ლაგოდების მუნიციპალიტეტის 15 თემში და 67 სოფელში. ადრეული ქორწინება ლაგოდებში საკმაოდ ხშირია და ბევრ პრობლემას ქმნის, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. მძიმე ეკონომიკური პირობების და ინფორმაციის ნაკლებობის, ასევე ტრადიციული ნორმების გამო გოგონები ნადრევად ქორწინდებიან, წყვეტენ განათლების მიღებას, ხშირად მათი სურვილის საწინააღმდეგოდ და რჩებიან დასაქმების შესაძლებლობების გარეშე. 18 წლამდე ასაკის გოგონები მონაწილეობდნენ ტრენინგებში ადრეული ქორწინების შესახებ, გაეცნენ მათ უფლებებს და ქართულ კანონმდებლობას, ასევე იმას, თუ როგორ შეუძლიათ დახმარების მიღება, მათ ასევე მიიღეს უფასო კონსულტაცია ექიმ რეპროდუქტოლოგისგან.



მარიამი, 13 წლის, ლაგოდები: ადრეული ქორწინების თემაზე ადრე ბევრი არ მიფიქრია, მაგრამ ტრენინგების შემდეგ საკუთარი თავი სხვა გოგონების ადგილზე წარმოვიდგინე და აღმოვაჩინე, რომ ძალიან ძნელია, როდესაც მინდა სწავლა და გათხოვებას მაიძულებენ, მით უმეტეს თუ არასრულწლოვანი ვარ, და ძალიან მეტკინება, თუ არავინ დამეხმარება. მივხვდი, რომ ასეთ დროს ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ

...ჩემი აზრით მატრიარქატის ეპოქაში შევდივართ. ხომ იცით ინის და იანის სიმბოლო, ვფიქრობ, რომ საზოგადოება ახლა უფრო მეტად იცნობს ქალის ბნელ მხარეს.

შესაძლოა ქალებს არ შეეძლოთ ფიზიკური სამუშაოს შესრულება, მაგრამ გონებრივად ისეთივე ვართ როგორიც მამაკაცები. თუნდაც ავიღოთ მითების და ლეგენდების პერსონაჟი ქალები აქტიურები და მამაცები არიან. შესაძლოა ეს მცირედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთად აღებული ერთ დიდ რეალობას გვაძლევს და გვარწმუნებს, რომ აქვთ ქალებს რაღაც ისეთი, რასაც მსოფლიოს შეცვლა შეუძლია.

პროექტის შემდეგ გავიგე, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც რაღაცის შეცვლა უნდათ და ცდილობენ. მე ვისწავლე, გავიგე და ვიცი, რომ სხვებმაც გაიგეს... და როცა ცდილობ, აუცილებლად გამოვა. უბრალოდ მეტი დრო სჭირდება და მხარდაჭერა...

ანა, 15 წლის, ლაგოდები: გამიმართლა, რომ ჩემ მშობლებს თანამედროვე შეხედულებები აქვთ ჩემს მომავალზე, მაგრამ ყველას ასე არ უმართლებს ჩემს თემში. ზოგიერთ გოგონას თავისუფლება არ აქვს ოჯახში. მათ აიძულებენ, რომ ადრე გათხოვდნენ და სწავლას თავი გაანებონ. ზოგიერთი მასწავლებელიც ამბობს, რომ გოგონას, რომელიც ნადრევად გათხოვდა, სწავლის გაგრძელების ნებას არ მისცემენ, რადგან შესაძლოა სხვებს ცუდი მაგალითი მისცენ. მე ვფიქრობ, ყველას აქვს სწავლის უფლება და ეს არ ნიშნავს, რომ გოგონა სახლში უნდა გამოკეტონ.



ტრენინგების დროს ბევრი რამ ვისწავლე. გარდა იმისა, რომ მორალურად არასწორია, ნადრევი ქორწინება ზიანს აყენებს გოგონას ჯანმრთელობას. გადავწყვიტე მე თვითონ გამეგრცელებინა იფნორმაცია იმაზე, რაც ვისწავლე. ხუთ ბავშვთან ერთად ჩემს კლასში ტრენინგი ჩავატარე და ვფიქრობ ჩვენ სკოლაში მაინც შევთანხმდით, რა არის სწორი და არასწორი.

ბევრი ცოდნა მივიღე და უფრო მეტად შემიძლია თავის დაცვა. უფროსი თაობა შესაძლოა სხვანირად ფიქრობდეს, მაგრამ არავის მივცემ უფლებას, რომ მე ან ჩემს მეგობრებს რაიმე გვაიძულოს. ახლა უფრო ძლიერი ვარ.

უყურეთ ვიდეოს ლაგოდებში ქვამ მუშაობის, ასევე ისტორიას ადრეული ქორწინების შესახებ :

<https://www.youtube.com/watch?v=ZvgcZ97SAWA>



ახალგაზრდების დაკავშირება სამხრეთ კავკასიაში

ქვამ დაიწყო პროექტი „მეგობრობის ხიდი“, რომელიც იმუშავებს ახალგაზრდებთან სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანაში. პროექტი გააგრძელებს ქვას წარმატებულ მიდგომას ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთობების დამყარებისთვის, რომელიც ქვამ სხვა რეგიონულ პროექტებში გამოიყენა, როგორც არის [ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება მშვიდობის მშენებლობისთვის სამხრეთ კავკასიაში](#), [ნდობის აღდგენა](#) და [JOIN](#). პროექტი პროგრამა **Students Rebuild** ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაკავშირებას, რათა მათ ერთად იმოქმედონ მსოფლიოს სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად. ამისთვის ქვა და მისი პარტნიორები იმუშავებენ რომ მიაღწიონ თემების მეტ ჩართულობას და დააკავშირონ ახალგაზრდები, მათ შორის კონფლიქტური რეგიონებიდან.

სამხრეთ კავკასია საინტერესო რეგიონია, უამრავი მსგავსებითა და განსხვავებებით. კონფლიქტებმა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნაკლებობამ გამოიწვია ხშირი მიგრაცია, სიღარიბე და ნდობის დაკარგვაც. კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები თემები ხშირად განცალკევებულად გრძნობენ თავს. ახალგაზრდებს კი არ ეძლევათ საშუალება, დაამყარონ კავშირები, იმოგზაურონ და ისწავლონ. ამავე დროს, არსებობს ბევრი საერთო პრობლემა, რომელიც თანამშრომლობით და ერთობლივი ძალებით უნდა გადაიჭრას,

ქვა იმუშავებს რათა მიაღწიოს მშვიდობისადმი საერთო ხედვის ჩამოყალიბებას ახალგაზრდებს შორის რეგიონში და ხელი შეუწყოს მომავალი თემის ლიდერების ჩამოყალიბებას, რომლებიც დააფასებენ მსგავსებებს და განსხვავებებს ადამიანებს შორის და ყურადღებას გაამახვილებენ თანამშრომლობასა და მშვიდობაზე. ამისთვის, ქვა ქმნის ახალგაზრდულ კლუბებს და აკავშირებს გოგონებსა და ბიჭებს ახალგაზრდული კონფერენციების საშუალებით



გაიგე მეტი პროექტის შესახებ:

http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=22&news_id=122&lng=geo

Students Rebuild პროგრამა:

<http://studentsrebuild.org/about>

Facing Difference გამოწვევა:

<http://studentsrebuild.org/facingdifference>

ამ ვიდეოში, რომელიც მომზადებულია ფონდი Bezos family foundation და Global Nomads Group მხარდაჭერით, ასკა და ნინო, ორი მოზარდი გარდაბნიდან საუბრობენ თავიანთ მეგობრობასა და ცხოვრებაზე გარდაბნის თემში, რომელიც ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა.

წაიკითხეთ სიახლეები ქვას პარტნიორი ორგანიზაცია-ასოციაცია „თანხმობა“-სგან: „ლიდერობა“, „საქართველო და მეზობელი ქვეყნები“-გარდაბანში ტრენინგები უკვე დაიწყო: <https://www.facebook.com/IDPWAConsent/posts/1707955399217253>; <https://www.facebook.com/IDPWAConsent/posts/1713883505291109>

სიახლეები პროექტებიდან

სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება ლაგოდეხში

ადგილობრივმა მოსახლეობამ ყველაზე კარგად იცის, საკუთარი თემის საჭიროებები და მათ უნდა მიეცეთ ამის გამოხატვის საშუალება: პროექტი “სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება ლაგოდეხში” რომელიც ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა, მუშაობს სოფლად ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი თემების აქტიური ჩართულობით. პროექტი აერთიანებს ადგილობრივ აქტორებს, რომლებიც ქმნიან ადგილობრივი განვითარების ჯგუფს, განსაზღვრავენ ძირითად პრიორიტეტებს, მხარს უჭერენ სოციალურ-და ეკონომიკური ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს პასუხობს.



სოფლის განვითარება ლაგოდეხში-ორი წლის შეჯამება

ქვამ წარმოადგინა ლაგოდეხში სოფლის განვითარების პროექტის 2 წლის შედეგები საქართველოში სოფლის განვითარების მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც მოხდა გამოცდილების გაზიარება ახალი და ძველი პარტნიორებისთვის.

ქვა ასევე შეუერთდა კომუნიკეს „გალაგის“-საქართველოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების გაერთიანების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც გააერთიანებს ლაგებს და ხელს შეუწყობს მათ ურთიერთობას შიდა და საგარეო აქტორებთან ახალი ინიციატივების განსახორციელებლად. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი სოფლის განვითარების ძლიერი ელემენტია.

ლაგოდეხში ორწლიანმა მუშაობამ საქართველოში სოფლის განვითარების დისკურსში ახალი პერსპექტივები შემოიტანა. პროექტმა შექმნა მდგრადი ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა აქტორებს შორის თანამშრომლობას და აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომელთაც სწამთ, რომ თავად შეუძლიათ დადებითი ცვლილებების მოტანა თემისთვის. შედეგად, ლაგოდეხის სოფლის განვითარების პროექტი შეფასდა როგორც სოფლის განვითარების საუკეთესო მოდელი საქართველოში.

ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (ლაგი) ქმედითუნარიანი და ეფექტური სამოქალაქო პლატფორმის მაგალითი გახდა კახეთი რეგიონში-შეიქმნა პრეცედენტი, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ლაგ-ში, ერთიანდებიან მოქალაქეები სხვადასხვა სექტორებიდან, რათა იმსჯელონ პრიორიტეტულ საკითხებზე მუნიციპალიტეტში, რაც დაეხმარება სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას. ლაგი ცდილობს უფრო მდგრადი გახდეს და ფინანსური წყაროები დამოუკიდებლად მოიძიოს. ლაგ-მა შეიმუშავა ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მოსახლეობის საჭიროებებზე დაყრდნობით. სტრატეგია ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მოიწონა და ის გახდება ტერიტორიული განვითარების მთავარი დოკუმენტი, ახალი საბიუჯეტო პრიორიტეტების დასახვისთვის.

ქალები და ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ახალგაზრდობა ლაგ-ის სტრუქტურის ერთ-ერთი პლატფორმა და წარმატებული მიმართულებაა, რომელსაც ბევრი ახალი ინიციატივა შემოაქვს.

ლაგ-ის დამოუკიდებელმა საბჭომ მხარი დაუჭირა 31 სოციალურ-ეკონომიკურ ინიციატივას, რომელიც ეხმარება ტურიზმს, სოფლის მეურნაობის, გარემოს, გენდერის, სოციალურ/ახალგაზრდულ საკითხებს. ლაგოდეხის მოსახლეობას უკვე გააჩნია ახალი სათემო ცენტრი, ფიტნეს კლუბები, რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი, არტ-კაფე. ეკონომიკური პროექტები როგორებიც არის სათბურები და სერვის ცენტრები ქმნის დასაქმების შესაძლებლობებს და სამომავლო განვითარების პერსპექტივას.



წაიკითხე მეტი: სოფლის განვითარების მესამე საერთაშორისო კონფერენცია:
http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=16&news_id=123

ლაგოდეხის ლაგ-ის ახალგაზრდულმა ფრთა სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებს დაუკავშირდა, ერთობლივი პროექტების დასაგეგმად. წაიკითხე მეტი: ლაგოდეხის ლაგ-ის ახალგაზრდების ვიზიტი ყაზბეგსა და ბორჯომში: http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=16&news_id=117

“თანამშრომლობა სოფლის აღორძინებისთვის” მუშაობს დასავლეთ საქართველოში სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, კოოპერატივებისა და მცირე ფერმერთა ჯგუფების გასაძლიერებლად, რათა გაზარდოს მათი პროდუქტიულობა და შემოსავლები. პროექტმა შემოიტანა ინოვაციური და მდგრადი მოდელები ფერმერთა ჯგუფების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისთვის. ერთ-ერთი მაგალითია „განახლებადი ფონდი“-დაბრუნებადი გრანტების სქემა, რომელიც ბიზნესის გაფართოებას და გაძლიერებას უწყობს ხელს.

ოთხწლიანი მუშაობის შედეგად, ქეამ ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭრა აღმოუჩინა 50 კოოპერატივს სხვადასხვა სექტორებიდან. მთლიანობაში, საინფორმაციო კამპანებმა მიადწიეს 3000 -ზე მეტ ფერმერამდე, ხოლო უნარების განვითარების ტრენინგები 1000 ფერმერზე მეტმა გაიარა ბიზნესის, მართვის და ტექნიკურ საკითხებში.

იხილეთ მეტი ქეას გვერდზე: http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=22&news_id=79

ახალი ცოდნისა და ინფორმაციის მიღება ფერმერების წარმატების მთავარი გასაღებია. უფრო მეტი გამოცდილების მქონე კოოპერატივებს უკვე შეუძლიათ თავიანთი გამოცდილების გაზიარება სხვებისთვის და თავადაც ბევრს სწავლობენ.



სასწავლო ტური ლატვიაში ქეას კოოპერატივებისთვის

გამოცდილების გაზიარება ფერმერებს შორის ძალიან მნიშვნელოვანია: ქეამ მოაწყო სასწავლო ტური ლატვიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, რომლებიც მუშაობენ რძის გადამუშავებისა და მეფუტკრეობის სექტორებში.

ქართველი ფერმერები შეხვდნენ ლატვიელ კოლეგებს, ესტუმრნენ ფერმებს და კოოპერატივებს და გაეცნენ მათ საქმიანობას, მუშაობის ახალ მეთოდებს და ლატვიურ გამოცდილებას ამ სექტორებში

წაიკითხე მეტი: http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=16&news_id=127



სასწავლო ტური ჰოლანდიაში

ქეამ მოაწყო სასწავლო ტური ჰოლანდიაში 7 კოოპერატივისთვის რათა ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ქართველ და ჰოლანდიელ ფერმერებს შორის საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დასამკვიდრებლად.

სასწავლო ტური ჩატარდა HollandDoor Cooperative U.A და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, და საშუალება მისცა ქეას მიერ დაფინანსებულ კოოპერატივებს გაცნობოდნენ ბოსტნეულისა და მარწყის სექტორების მუშაობას ნიდერლანდებში. ქართველი ფერმერები გაეცნენ ახალ მეთოდებს და მოდელებს კულტივაციისა და დათესვითი სამუშაოების კუთხით, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის იქნება გამოსადეგი.

http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=16&news_id=125

გაიგე მეტი:

ENPARD პროგრამის შესახებ: <http://enpard.ge/ge/>


კოოპერატივების გაცვლითი ვიზიტები გურიასა და სამეგრელოში: http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=16&news_id=126

სოციალურ საწარმოები ქმნიან დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს უწყობენ საზოგადოებაში სოციალურ ჩართულობას მოწყვლადი ჯგუფებისთვის. „დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალბატონებისთვის“ საშუალებას აძლევს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს, შეიძინონ ახალი უნარები და მეტი გაიგონ საკუთარი უფლებების შესახებ. სოციალური საწარმოები უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე შემოსავლის მიღება-ისინი საშუალებას აძლევენ ქალბატონებს თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაუკავშირდნენ სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებს და გადალახონ ურთიერთობის ბარიერები. ამავე დროს, პროექტი მხარს უჭერს სოციალურ საწარმოებს, რომელთა მისიაა მოწყვლადი ჯგუფებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნა და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ სტიგმასთან ბრძოლა.

მთლიანობაში, ქეამ დააფინანსა 8 სოციალური საწარმო. 300 ადამიანზე მეტმა მიიღო მონაწილეობა უნარების განვითარების ტრენინგში, რომელთაგან 60% განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალბატონია. ქალები ესწრებიან კულტურულ და გასართობ ღონისძიებებსაც, რაც მათ ინტეგრაციას უწყობს ხელს.

წაიკითხე მეტი: http://www.care-caucasus.org.ge/index.php?m=22&news_id=83

ჩვენი სივრცე–სოციალური საწარმო, „ჩვენი სივრცე“, სენაკში მდებარეობს და ამზადებს თექის შარფებს, ნახატებს, აქსესუარებს და სამკაულებს. საწარმომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალების ცხოვრებაში, რომლებიც ლამაზ პროდუქტებს ქმნიან და აქტიურად არიან ჩართული სოციალურ ცხოვრებაში თავიანთ ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად. ხელნაკეთი ნივთების შექმნა არტ-თერაპიას, და ეხმარება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებს გადალახონ ურთიერთობების ბარიერები და ერთმანეთს დაუკავშირდნენ. მაცაცო, ჯგუფის ლიდერი, მუშაობს იმისთვის, რომ უფრო მეტმა ადამიანმა გაიგოს საწარმოს შესახებ და შეცოდების ნაცვლად ადამიანებმა დააფასონ ის სამუშაო რასაც ქალები ასრულებენ. საწარმო წარმატებით ახერხებს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებთან ბრძოლას, რადგან აქ მომუშავე ქალბატონები უკვე სრულფასოვნად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან მათ უკვე კარგად იცნობენ თავიანთ თემში, ასევე ხშირად მონაწილეობენ გამოფენებში და სხვა კულტურულ ღონისძიებებში.



Veracraft: <https://www.facebook.com/veracraftshop/?fref=mentions>

„ჩვენი სივრცის“ პროდუქცია ევროპულ ონლაინ მაღაზიაში

სოციალური საწარმო „ჩვენი სივრცის“ ხელნაკეთი ნივთები უკვე ევროპულ ონლაინ მაღაზია Veracraft-ზეა, რომელიც ლიტველმა აგნე იგნატავიციენემ განავითარა. სამართლიანი ვაჭრობის იდეაზე დაფუძნებით, ევროკავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ ხელნაკეთი ნივთები, რომელიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალბატონების მიერ არის დამზადებული და დაეხმარონ მათ ცხოვრების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, ონლაინ პლატფორმა ხელს უწყობს მდგრადი საბაზრო კავშირების დამყარებას „ჩვენ სივრცესა“ და ევროკავშირის მოქალაქეებს შორის.

წაიკითხეთ მეტი მაღაზიის შესახებ, გაეცანით და მხარი დაუჭირეთ სამართლიანი ვაჭრობის პრინციპს, რომელსაც მაღაზია ეფუძნება: https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1471574169585552&id=112080732201576

დაგვიკავშირდით:

care-caucasus.org.ge

[ქეა საერთაშორისო კავკასიაში](#)

[Facebook გვერდი](#)

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

geoinfo@care.org

თბილისის ოფისი,

ცაგარელის ქ. 37, 0194

(+995 322) 29 13 78

ქეა საერთაშორისო კავკასიაში

ლაგოდეხის ოფისი,

ქ. ლაგოდეხი, ზაქათალას ქუჩა, 23

+995 354 220026

სამტრედიის ოფისი,

ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქ. 8

+995 032 2236020

ქეა საერთაშორისო კავკასიაში მუშაობს სიღარიბესთან და სოციალურ უთანასწორობასთან საბრძოლველად, კავკასიის რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. 1988 წლის შემდეგ ქეა მხარს უჭერს ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ და განვითარების პროექტების განხორციელებას სამხრეთ კავკასიაში.

ქეას სწამს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის პოტენციური და ინიციატივები სოციალური ცვლილების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ, ქეა ცდილობს ადამიანების შესაძლებლობების განვითარებას. ამ გზით კი, მდგრადი განვითარების შექმნას და მიზნად ისახავს მშვიდობის დამყარებას კავკასიის რეგიონში.

ქეას საქმიანობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, გოგონებისა და ქალების გაძლიერება, საგანგებო სიტუაციების მართვა, კონფლიქტების მოგვარება და გარემოს დაცვა.